

შედეგი

საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა უზრუნველყოფს ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა მფლობელების ინტერესების დაცვას. ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვისა და აღსრულების ეფექტური სისტემა ხელს შეუწყობს ინოვაციური და შემოქმედებითი პროდუქტების წარმოებასა და კომერციალიზაციას.



ბროშურა მომზადებულია ევროკავშირი—საქართველოს ბიზნესსაბჭოს (EUGBC) მიერ ევროკავშირის მხარდაჭერით.



პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

პუბლიკაციის შინაარსზე
პასუხისმგებელია ევროკავშირი—საქართველოს ბიზნესსაბჭო და მასში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიჩნეული ევროკავშირის პოზიციად.

ევროკავშირი—საქართველოს ბიზნესსაბჭო
ბანდუკელის ქ. 3, თბილისი 0108 საქართველო
Tel: (+995 32) 2.24.21.14 / 15 / 16
info@eugbc.net / www.eugbc.net

ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის სასაზღვრო ღონისძიებები

ბონდო ბოლქვაძე

ექსპერტი საბაჟო და ვაჭრობის ხელშეწყობის საკითხებში

ზოგადი მიმოხილვა:

ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA), რომელიც მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს.

DCFTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების ფართო სპექტრს, მათ შორის ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვას. შეთანხმება მოკლედ განსაზღვრავს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ საბაჟო თანამშრომლობას და საერთოდ საბაჟო-სასაზღვრო ღონისძიებებს. საბაჟო კუთხით ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების ვალდებულება მოცემულია მე-5 თავში „საბაჟო და ვაჭრობის ხელშეწყობა“.

კანონმდებლობის და პროცედურების ჰარმონიზაცია:

საქონლის იმპორტ-ექსპორტის ოპერაციებში ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს არეგულირებს საქართველოს კანონი „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული სასაზღვრო ღონისძიებების შესახებ“.

შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მიერ შემუშავებული გეგმის თანახმად, ევროკავშირთან ამ კუთხით საკანონმდებლო ჰარმონიზაცია განხორციელდება 3 ეტაპად შემდეგი 3 წლის განმავლობაში. პარალელურად ჩატარდება სამუშაოები, რაც საჭიროა ცვლილებების პრაქტიკაში დასანერგად: თანამშრომლების გადამზადება, საინფორმაციო ტექნოლოგიური უზრუნველყოფა და ა.შ.

➤ პირველ ეტაპზე მოხდება ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ღონისძიებების გავრცელება ყველა საბაჟო ოპერაციაზე (რეჟიმებზე). დღეს არსებული მდგომარეობით მხოლოდ იმპორტირებული და ექსპორტირებული საქონელი კონტროლდება, თუმცა ისეთი ოპერაციები როგორცაა ტრანზიტი, რე-ექსპორტი, დროებით შემოტანა და ა.შ. კონტროლს მიღმა რჩება. უახლოესი ერთი წლის განმავლობაში შემუშავდება ცვლილებები, რომელიც საბაჟოს საშუალებას მისცემს ყველა სახის ოპერაციაში ებრძოლოს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევის ფაქტებს.

➤ მეორე ეტაპზე განხორციელდება სასაზღვრო კონტროლს დაქვემდებარებული ინტელექტუალური საკუთრების ფორმების გამრავალფეროვნება. კერძოდ, დღეის მდგომარეობით საბაჟო კონტროლს ექვემდებარება მხოლოდ შემდეგი 4 სახის ინტელექტუალური საკუთრება: საავტორო და მომიჯნავე უფლებები, სასაქონლო ნიშნები, გეოგრაფიული აღნიშვნა და ადგილწარმოშობის დასახელება და დიზაინი. საბაჟოს მიერ შემუშავებული გეგმის თანახმად 2 წელში უკვე შესაძლებელი იქნება სასაზღვრო კონტროლი გავრცელდეს ასევე პატენტებზე და გამოგონებებზე, ინტეგრალური მიკროსქემების ტოპოლოგიაზე, მცენარეთა და ცხოველთა ახალ ჯიშებზე და ა.შ.

➤ მესამე დასკვნით ეტაპზე ამოქმედდება ე.წ. **ex officio** პრინციპით კონტროლი. ამ პრინციპის მთავარი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ საბაჟოს აქვს უფლება (არა ვალდებულება) კონტროლი განახორციელოს საკუთარ მოსაზრებებზე და საფუძვლიან ეჭვებზე დაყრდნობით. კონტრაფაქციულ საქონელზე ეჭვის არსებობის შემთხვევაში არ არის აუცილებელი ინტელექტუალური საკუთრების უფლების მფლობელის მომართვა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ დღესდღეობით კონტროლი ხორციელდება საკუთრების უფლების მფლობელის ინიციატივით, რომელიც მიმართავს საბაჟოს უფლების დაცვის მოთხოვნით და ხშირად თვითონვე მიუთითებს კონკრეტულ სამართალ დარღვევის ფაქტებზე, მომავალში ინიციატორი შეიძლება იყოს საბაჟო, ისე რომ ინტელექტუალური საკუთრების უფლების მფლობელს შეიძლება არც კი ჰქონდეს უფლება საბაჟოზე დარეგისტრირებული. თუმცა საქონლის სტატუსის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს მხოლოდ საკუთრების უფლების მფლობელის მონაწილეობით.

➤ საბაჟო დეპარტამენტი მუშაობს ასევე საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის დანერგვაზე, რაც გულისხმობს რომ კონტრაფაქციული საქონლის გაკონტროლება შესაძლებელი იქნება არა მარტო საზღვარზე არამედ იმპორტის განხორციელების შემდეგაც. კერძოდ, თუ ვერ ხერხდება ჭიანჭურდება ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევის დადგენა, საეჭვო საქონელი შეიძლება არ შეფერხდეს საზღვარზე, გაშვებულ იქნას და გადამოწმდეს განბაჟების შემდეგ. საბაჟო უკვე დიდი ხანია იყენებს მსგავს მიდგომებს სხვა მიმართულებებით, მაგრამ არა ინტელექტუალური საკუთრების კონტროლის კუთხით.